არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია (ინგ. Association of Profesional Chemists of Georgia) (შემდგომში – ორგანიზაცია) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. ეს წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.4. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს.

1.5. ორგანიზაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.

1.6. ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართია: **contact@chemistry.ge**

1.7. საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.8. ორგანიზაციას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.9. ორგანიზაციის დავა სხვა იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან განიხილება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

1.10. ორგანიზაცია არ ახდენს დისკრიმინაციას სქესის, რასის, ფერის, ნათესაური სტატუსის, კლასის, რელიგიური, ეთნიკური ან ნაციონალური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნების, სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის,სამედიცინო მდგომარეობის ან სხვა, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნიშნის მიხედვით.

1.11. ორგანიზაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.12. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: ბინა 25, ი. პეტრიწის ქ. №17ა, დიდი დიღომი, თბილისი, 0159, საქართველო.

მუხლი 2. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები

2.1. ორგანიზაციის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. ორგანიზაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებუ-

ლი მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ორგანიზაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.

2.2. ორგანიზაციის მიზანია:

ა) ორგანიზაციის წევრების ხელშეწყობა და მათი ძალისხმევის გაერთიანება, რათა განხორციელებულ იქნეს ქიმიის, ქიმიური ინჟინერინგისა და მონათესავე დარგებში დასაქმებული მეცნიერების, ინჟინრების, სპეციალისტთა პროფესიონალური და შემოქმედებითი ინტერესების უზრუნველყოფის პირობა, მათი მაღალი სოციალური სტატუსის შექმნა და მხარდაჭერა.

ბ) ქიმიისა და ქიმიური ინჟინერინგის დარგების ფართო პოპულარიზაცია.

გ) მჭიდრო თანამშრომლობა საჯარო და კერძო სკოლებთან ქიმიისა და ქიმიური ინჟინერინგის დარგების ფართო პოპულარიზაციისა და მათი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის ხელშეწყობის მიზნით.

დ) ქიმიისა და ქიმიური ინჟინერინგის დარგებში მომუშავე მეცნიერთა და ინჟინერთა მიღწევების პოპულარიზაცია.

ე) მეცნიერთა ჯგუფებსა და მეწარმეთა კონსოლიდაციის ხელშეწყობა.

ვ) ორგანიზაციის და მათი წევრების უფლებების დაცვა და სათანადო სამართლებრივი და სოციალური გარანტიების შექმნის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს მათ პროფესიონალურ საქმიანობას.

ზ) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალური ეთიკის ჩამოყალიბება.

თ) ხელშეწყობა სამეურნეო კომპლექსში პროგრესული, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნასა და დანერგვაში, რომელიც იძლევა წარმოების ეფექტურობის გაზრდის საშუალებას, მეცნიერებატევადი, პრინციპულად ახალი სახის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას ნაკლები შრომითი და საწარმოო დანახარჯებით, სამამულო-სამეცნიერო ტექნიკური ბაზის განვითარებას მსოფლიო მიღწევათა დონეზე.

ი) მონაწილეობა მიმდინარე და უახლესი პერიოდისათვის ქიმიური მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრისა და ძირითადი მიმართულებების დადგენაში; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვასა და რეალიზაციაში.

კ) მონაწილეობა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში, ასევე კონკრეტული სასწავლო-სამეცნიერო-ტექნოლოგიური საკითხების შეფასებასა და აუდიტში.

ლ) მსხვილი პროექტების გარშემო საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა და ჩამოყალიბება, როგორც დარგის საწარმოებში, ისე სასწავლო–საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პერსპექტიული პროექტების მხარდაჭერა და შეძლებისდაგვარად მათი ავტორების წახალისება.

მ) მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე საწარმოო გამოცდილების პროპაგანდა.

ნ) საქმიანი, შემოქმედებითი და მეგობრული კავშირების განვითარება სხვა ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან, ასოციაციებთან, საზოგადოებებთან, უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, საწარმოებთან.

ო) მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

პ) მონაწილეობა სამეცნიერო და საინჟინრო კადრების, სპეციალისტების პროფესიული ცოდნის ამაღლებაში.

ჟ) ქიმიური მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის დარგში კონსულტაციების გაწევა.

რ) ეროვნული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიული წარსულის შესწავლა და პროპაგანდა. პრაქტიკაში ქართული ტექნიკური, კერძოდ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის დამკვიდრება.

ტ) ხელი შეუწყოს ქართულ საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონის პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

უ) ორგანიაციას შეუძლია აწარმოოს ყველა შესაძლო საქმიანობა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქრთველოში მოქმედ კონსტიტუციასა და კანონებს.

2.3. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

2.4. ორგანიზაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

მუხლი 3. მუხლი 3: საქმიანობის ფორმები

3.1. ორგანიზაცია დასახული მიზნების მისაღწევად, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით:

ა) ატარებს სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებს, ლექციებს, შემოქმედებით დისკუსიებს. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში იყენებს სხვა ფორმებს ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა დარგის თანამედროვე სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური კონცეფციები, უახლესი ტექნოლოგიები, პროექტები, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ახალი მიმართულებები და ა.შ.;

ბ) აყალიბებს წინადადებებს დარგის საწარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების, მათი ტექნიკური განახლების პროგრამების და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების პროექტების საზოგადოებრივ ექსპერტიზას;

გ) დახმარებას უწევს სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის გამოფენების, კონსულტაციების და კონკურსების მოწყობას;

დ) დახმარებას უწევს სამეცნიერო და შემოქმედებით მივლინებებს საქართველოს და უცხოეთის მასშტაბით, საწარმოო ექსკურსიებს, აგრეთვე სტუმართა მიღებას;

ე) ზრუნველყოფს საზოგადოების წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და წარმოჩენას მესამე პირთან ურთიერთობაში;

ვ) ახდენს ორგანიზაციის წევრების მიღწევების საზოგადოებრივ განხილვას და მათ წარდგენას სახელმწიფო და სახელობით პრემიებზე, ასევე მნიშვნელოვან სამეცნიერო მიღწევებსა და საინჟინრო ნამუშევრებზე პრემიების, სტიპენდიების დაწესებას და მინიჭებას, წახალისების სხვა ფორმების გამოყენებას;

ზ) ორგანიზაცია უფლებამოსილია ქიმიასა და მონათესავე სფეროებში ჩაატაროს კვლევები, და სხვადასხვა ტიპის ინტერაქტიური გამოკითხვები და გამოაქვეყნოს მნიშვნელოვანი შედეგები;

თ) ორგანიზაციას შეუძლია წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროების შემთხვევაში სახელშეკრულებო საწყისებზე ითანამშრომლოს ნებისმიერ ორგანიზაციასთან, იგი სოციალურად იცავს ორგანიზაციის წევრებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეხმარება მათ დასაქმებაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

მუხლი 4. ორგანიზაციის წევრი

4.1. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიის ან რომელიმე მონათესავე დარგის მუშაკი ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს.

4.2. ორგანიზაციაში ასოცირებული წევრის სტატუსით შეიძლება გაწევრიანდეს ნებისმიერი დარგის სპეციალისტი ფიზიკური პირი.

4.3. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს სამეცნიერო, საინჟინრო ან სხვა საზოგადოებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება ამ ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს.

4.4. ორგანიზაციის კორპორატიული წევრია პირი, რომელიც გაწევრიანებულია ამ ორგანიზაციაში შემავალ ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში. ორგანიზაციის კორპორატიული წევრი სარგებლობს ორგანიზაციის წევრის უფლება–მოვალეობებით.

4.5. თითოეული ორგანიზაცია, რომელიც წევრიანდება ამ ორგნიაციაში, ინარჩუნებს ორგანიზაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, აქვს წესდება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის წესდებას, და ორგანიზაციასთან თანამშრომლობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე.

4.6. ორგანიზაციაში სტუდენტური წევრის სტატუსით შეიძლება გაწევრიანდეს ყველა ის სტუდენტი, რომელიც სწავლობს ქიმიური ან საინჟინრო–ქიმიური სპეციალობის სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. სტუდენტური წევრობა უქმდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე.

4.7. ორგანიზაციის წევრობის კანდიდატმა ორგანიზაციის გამგეობაში უნდა წარადგინოს შესაბამისი განცხადება და ორი სარეკომენდაციო წერილი, გაცემული ამ ორგანიზაიის გამგეობის წევრის ან სხვა საერთაშორისო, ანალოგიური ან მონათესავე პროფესიული საზოგადოების წევრის მიერ. გაწევრიანებაზე დადენილება გამოაქვს ორგანიზაციის გამგეობას.

4.8. ორგანიზაციის წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ 12 თვის გადაუხდელობის შემთხვევაში;

გ) ორგანიზაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს ან იგი არღვევს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს;

დ) გარდაცვალებისას.

4.9. ორგანიზაციის წევრის ორგანიზაციიდან გასვლის საკითხი წყდება გამგეობის გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის წევრი ორგანიზაცია წყვეტს არსებობას, მისი წევრობა წყდება ავტომატურად, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება გამგეობას.

მუხლი 5. წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ორგანიზაციის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობდეს ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში;

ბ)აირჩიოს და არჩეულ იქნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელ და მმართველობის ორგანოებში;

გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ორგანიზაციის პროგრამებში, პროექტებში, წარმოებაში არსებულ საქმეებსა და სხვა ღონისძიებებში;

დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;

ვ) ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ზ) გავიდეს წევრობიდან.

თ) ატაროს ორგანიზაციის ემბლემა.

5.2. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს ორგანიზაციის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს მის საქმიანობაში;

დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ორგანიზაციის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით;

ვ) ორგანიზაციის საშუალებით დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოებში;

ზ) ორგანიზაციაში წარადგინოს პროექტები და წინადადებები ამა თუ იმ საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვასა და განხორციელებაში;

თ) შეასრულოს ორგანიზაციის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია წესდების შესაბამისად და არ ეწინააღმდეგება მათ უფლებებს;

ი) ორგანიზაციის ჩარჩოებში განავითაროს თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან;

მუხლი 6. საერთო კრება

6.1. ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა წევრთა საერთო კრება. წევრთა საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ და ტარდება ყოველი წლის ოქტომბერში. სხვა შემთხვევებში შესაძლოა გაიმართოს რიგგარეშე საერთო კრება.

6.2. წევრთა საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ორგანიზაციის წევრთა 1/10-ს, გამგეობის წევრთა უმრავლესობასა და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/პირებს. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება მინიმუმ წევრთა სრული შემადგენლობის 1/4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.3. წევრთა საერთო კრება ტარდება კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან ან წევრებისთვის მოსაწვევის გაგზავნიდან სულ ცოტა 7 დღის შემდეგ. მოსაწვევის გაგზავნა შესაძლებელია დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) განთავსება. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ყველა იმ წევრს, რომელიც კრების მოწვევის დღეს ირიცხება ორგანიზაციის წევრად. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირის სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს წევრთა საერთო კრების დღის წესრიგს. წევრს უფლება აქვს, საერთო კრების მომწვევს მოსთხოვოს კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ წევრის მოთხოვნა წევრთა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, ის უნდა დაკმაყოფილდეს და შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. წევრთა საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს წევრის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.

6.4. თუ წევრთა საერთო კრებას ყველა წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

6.5. წევრთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი პირი/ორგანო. წევრთა საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრებისა და ხელმძღვანელი ორგანოსათვის. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება.

6.6. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით.

6.7. წევრთა საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრთა საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

6.8. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;

დ) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ე) საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილება, კენჭისყრის შედეგების მითითებით.

6.9. საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ორგანიზაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

ბ)ფარული კენჭისყრით დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

გ) ისმენს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ე) დამსწრეთა უმრავლესობით 4 წლის ვადით ირჩევს სარევიზიო კომისიას;

ვ) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაციის შესახებ;

ზ) დამსწრე წევრთა ოთხი მეხუთედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ;

თ) დამსწრე წევრთა 3/4-ით იღებს გადაწყვეტილებას წევრის ორგანიზაციიდან გარიცხვის შესახებ.

რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ორგანიზაციის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

გ) სარევიზიო კომისიის ინიციატივით.

მუხლი 7. გამგეობა

7.1. ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავს გამგეობა, რომელიც შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისგან და რომლის წევრებსაც სამი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

7.2. გამგეობის სხდომა ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

7.3. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.4. გამგეობის წევრებს და ორგანიზაციის ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ 7 დღით ადრე მაინც წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს გამგეობის სხდომის დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში გამგეობის წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.

7.5. გამგეობა:

ა) გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს ორგანიზაციის თავმჯდომარეს; თავმჯ-დომარის წარდგინებით გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მის მოადგილეს;

ბ) იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვი-რით ადრე მაინც აცნობებს ორგანიზაციის წევრებს;

გ) წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქ-ვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;

დ) ფარული კენჭისყრით, წევრთა უმრავლესობით წყვეტს ორგანიზაციის წევრად მიღების სა-კითხებს;

ე) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ორგანიზაციის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწი-ნააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრე-ბულ მოვალეობებს;

ვ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

ზ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

თ) ამტკიცებს ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;

ი) ამტკიცებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტ-რებს;

კ) წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობის, აგრეთვე იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

ლ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ორგანიზაციულ სტრუქტურას;

მ) ირჩევს ორგანიზაციის ბეჭდვითი და ელექტრონული (ვებ-გვერდი) ორგანოს სარედაქციო საბჭოს;

ნ) თავმჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის რეგიონული ერთეუ-ლების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;

ო) ფარული კენჭისყრით წევრთა სიითი უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;

პ) აფუძნებს ორგანიზაციის საწარმოებს და თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ანთავი-სუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

ჟ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

7.6. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ანხორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

7.7. ორგანიზაციის წევრობის შესასვლელი და წლიური შენატანების ოდენობა იურიდიული პირებისათვის (კოლექტიური წევრებისათვის) დგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ორგანიზაციის საწევრო შენატანის ოდენობას ფიზიკური პირებისათვის და სტუდენტური წევრებისათვის აწესებს გამგეობა. სტუდენტური წევრობის საწევრო შენატანი არ უნდა აღემატებოდეს საწევრო შენატანის 50%-ს.

7.8. ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან:

სახელი, გვარი, პ/ნ	**მისამართი:**	**ელ.ფოსტა**
ელიზბარ ელიზბარაშვილი (პ/ნ 01025009596)	ბინა 25, 17ა პეტრიწის ქ. თბილისი	e.elizbarashvili@gmail.com
იოსებ ჩიკვაიძე (პ/ნ 01011058128)	ბ.42., 2 ქვიშხეთის ქ., თბილისი	ioseb.chikvaidze@tsu.ge
გია ხატისაშვილი (პ/ნ01025003659)	ბ. 222, კორპ. 15, დიდი დიღმის მე-3 მ/რ, თბილისი	g.khatisashvili@agruni.edu.ge
თინათინ ბუთხუზი (პ/ნ 01006012249)	ბ.4/1, მირიან მეფის 90, თბილისი	tbutkhuzi@gmail.com
როინ ბერულავა (პ/ნ 58001031370)	ბინა 112, მე-5 კორპუსი, მუხიანი მე-4ა მ/რ, თბილისი	roinberulava99@gmail.com
ლაშა ხუციშვილი (პ/ნ01024080560)	9 ი. პეტრიწის ქ., თბილისი	lkhut2019@agruni.edu.ge
ინგა ბოჭოიძე (პ/ნ 60001088348)	5/18 ლეონიძის ქ., ქუთაისი	inga.bochoidze@atsu.edu.ge
მაია მერლანი (პ/ნ 01015011179)	ბინა. 6, კორპ. 6, 16 კრწანისის ქ.., თბილისი	maia.merlani@gmail.com
შუქრი ჯაფარიძე (პ/ნ 01015013845)	11/23 ათონელის ქ. ,თბილისი	japaridzeshukri@yahoo.com

მუხლი 8. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

8.1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თავმჯდომარე, რომელიც ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული თავმჯდომარის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

8.2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. თავმჯდომრე თავის ხელმძღვანე-

ლობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

8.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ორგანიზაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თავმჯდომარეს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

8.4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას თავმჯდომარე ახორციელებს ერთპიროვნულად, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

8.5. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ასეთ შემთხვევაში, თავმჯდომარე ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

8.6. თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წევრთა საერთო კრებას წარუდგინოს ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში.

8.7. გამგეობის თავმჯდომარე ორგანიზაციის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი ორგანიზაციისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე სოლიდარულად.

მუხლი 9. თავმჯდომარე

9.1. ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან სამი წლის ვადით ირჩევს გამგეობა მორიგი საერთო კრების შემდეგ პირველსავე სხდომაზე. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს. ახლად არჩეული თავმჯდომარე ასახელებს თავისი მოადგილის კანდიდატურას. თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევამდე.

9.2. უფლებამოსილების ფარგლებში თავმჯდომარეს აქვს უფლება ორგანიზაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, მიიღოს ორგანიზაციაში თანამშრომლები, გააფორმოს მათთან ხელშეკრულება და გადაწყვიტოს საკადრო საკითხები. თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ორგანიზაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარე ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თავმჯდომარის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება იზღუდება წევრთა საერთო კრებისა და გამგეობისთვის ამ წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის გათვალისწინებით.

9.3. თავმჯდომარე:

ა) წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

გ) წარმოადგენს ორგანიზაციას სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) წყვეტს ორგანიზაციის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს გამგეობის წევრებს;

ე) ზედამხედველობს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

ვ) უძღვება ორგანიზაციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

ზ) ხელს აწერს ორგანიაზციის ოფიციალურ დოკუმენტებს;

თ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ორგანიზაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ი) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას;

კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

9.4. მოადგილე თავმჯდომარის რწმუნებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებების ფარგლებში. ორგანიზაციის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

9.5. თავმჯდომარის (მოადგილის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს (მოადგილეს) დარჩენილი ვადით.

9.6. ორგანიზაციის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, პ/ნ	მისამართი:	ელ.ფოსტა
ელიზბარ ელიზბარაშვილი პ/ნ 01025009596	ბინა 25, 17ა პეტრიწის ქ. თბილისი	e.elizbarashvili@gmail.com

9.6. ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე

სახელი, გვარი, პ/ნ	მისამართი:	ელ.ფოსტა
გია ხატისაშვილი (პ/ნ01025003659)	ბ. 222, კორპ. 15, დიდი დიღმის მე-3 მ/რ, თბილისი	g.khatisashvili@agruni.edu.ge

მუხლი 10. სარევიზიო კომისია

10.1. ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) თანამდებობის პირების მიერ ორგანიზაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლს ანხორციელებს სარევიზიო კომისია, რომელსაც ოთხი წლის ვადით ხუთი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. სარევიზიო კომისია არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში საკუთარ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია მუშაობს მის მიერ შემუშავებული რეგლამენტით.

10.2. სარევიზიო კომისიაში შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის გამგეობის წევრი.

10.3. სარევიზიო კომისია 6 თვეში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები მოხსენდება გამგეობასა და მორიგ საერთო კრებას. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

10.4. სერიოზული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სარევიზიო კომისია იწვევს გამგეობის რიგგარეშე სხდომას ან რიგგარეშე საერთო კრებას და გაუძღვება მას.

10.5. სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან სარევიზიო კომისიის წევრი შეირჩევა კომისიის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის წევრი უფლებამოსილებას ანხორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 11. მრჩეველთა საბჭო

11.1. ორგანიზაციის საკონსულტაციო ორგანოა გამგეობის მიერ შექმნილი ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭო. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა. მრჩეველთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 12. ორგანიზაციის ქონება

12.1. ორგანიზაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

12.2. ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 13. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

13.1. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

13.2. ორგანიზაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.

13.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

13.5. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13.6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

13.8. თუ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

13.9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ორგანიზაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

14.2. წინამდებარე წესდება ძალაშია ორგანიზაციის გამგეობის წევრების ხელმოწერის მომენტიდან.

გამგეობა:

ელიზბარ ელიზბარაშვილი (პ/ნ 01025009596)	ბინა 25, 17ა პეტრიწის ქ. თბილისი	ხელმოწერა
იოსებ ჩიკვაიძე (პ/ნ 01011058128)	ბ.42., 2 ქვიშხეთის ქ., თბილისი	ხელმოწერა
გია ხატისაშვილი (პ/ნ01025003659)	ბ. 222, კორპ. 15, დიდი დიღმის მე-3 მ/რ, თბილისი	ხელმოწერა
თინათინ ბუთხუზი (პ/ნ01006012249)	ბ.4/1, მირიან მეფის 90, თბილისი	ხელმოწერა
როინ ბერულავა (პ/ნ 58001031370)	ბინა 112, მე-5 კორპუსი, მუხიანი მე-4ა მ/რ, თბილისი	ხელმოწერა
ლაშა ხუციშვილი (პ/ნ01024080560)	9 ი. პეტრიწის ქ., თბილისი	ხელმოწერა
ინგა ბოჭოიძე (პ/ნ 60001088348)	5/18 ლეონიძის ქ., ქუთაისი	ხელმოწერა
მაია მერლანი (პ/ნ 01015011179)	ბინა. 6, კორპ. 6, 16 კრწანისის ქ.., თბილისი	ხელმოწერა
შუქრი ჯაფარიძე (პ/ნ 01015013845)	11/23 ათონელის ქ. ,თბილისი	ხელმოწერა